ბრძანება:**ბ24.242215712**

თარიღი:**06/06/2022**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის შექმნისა და დროებითი სამუშაო ჯგუფის სახელმძღვანელო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ

მუნიციპალიტეტის ტერირტორიაზე მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2022 წლის 02 ივნისის N02-2422153205 მომართვის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის დროებითი სამუშაო ჯგუფის“ შემადგენლობა დანართი N1 შესაბამისად.
2. დამტკიცდეს დროებითი სამუშაო ჯგუფის დებულება დანართი N2-ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს საჭიროებათა კვლევის ეტაპების კალენდარი დანართი N3-ის შესაბამისად.
4. დამტკიცდეს დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ საჭიროებათა კვლევის ჩატარების ინსტრუქცია დანართი N4-ის შესაბამისად.
5. დამტკიცდეს მოკლე ინსტრუქცია ინტერვიუერისთვის დანართი N5-ის შესაბამისად.
6. დამტკიცდეს საჭიროებათა კვლევის პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების ინსტრუქცია დანართი N6 შესაბამისად.
7. დამტკიცდეს პირველადი აღრიცხვის ფორმები დანართი N7-ის შესაბამისად.
8. დამტკიცდეს მიზნობრივი ჯგუფების ცხრილი დანართი N8-ის შესაბამისად.
9. დამტკიცდეს საჭიროებათა კვლევის ანგარიშის სტრუქტურა N9-ის შესაბამისად.
10. დროებითმა სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ჩატარება, ამ ბრძანებით დამტკიცებული სამიზნე ჯგუფების მიხედვით:

    ა) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი (შშმ სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე), აგრეთვე გავნითარების სირთულის მქონე ბავშვი“;

ბ) „ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებობის მქონე პირი“;

გ) „ღარიბი ბავშვიანი ოჯახი (სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე) და ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი“;

დ) „ძალადობის მსხვერპლი ბავშვი“;

ე) ,,აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვი (შშმ სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე)“.

11. მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ანგარიშის წარდგენის ვადად განისაზღვროს მიმდინარე წლის 30 სექტემბერი.

12. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობა შეასრულოს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილემ.

13. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთნავე.

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი” 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. N12).

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი